# მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲥᲘᲡᲚᲔᲕᲘ
№12 (460)
(5780)
2019

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה


## ᲛᲕᲘᲠᲗᲕᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ, ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲮᲐᲜᲣᲥᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ!

22 დეკემბერს, თბილისის დიდ ბეით ქნესეთში ხანუქის პირველი სანთლები აანთეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ. სანთლის ანთების წინ გიორგი გახარიამ თქვა:

— ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი რომ აიღო, მაშინ გამოჩნდნენ პირველი ებრაელები საქართველოში. ამდენი საუკუნეა ჩვენ ვცხოვრობთ ერთად, ჩვენი ცრემლი ერთია და ჩვენი სიხარულიც ერთია. ეს არის უდიდესი ძალა. ჩვენ გვაერთიანებს ის, რაც ბევრ ერს ვერც წარმოუდგენია - ამ ქვეყანაში არც ერთი ებრაული ოჯახის შევიწროების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. ეს არა მხოლოდ ქართველების დამსახურება და გამარჯვება, არამედ ჩვენი საერთო გამარჯვებაა.

მე მსურს, თითოეულ ებრაელს მივულოცო ეს დღესასწაული და თითოეულ ჩვენგანს მივულოცო ის საუკუნეები, რომელიც გველის - ერთობლივი შრომის, გამარჯვებისა და მიღწევების, თითოეულ ებრაულ ოჯახში სინათლის გამარჯვებისა სიბნელეზე და სიკეთის გამარჯვების ბოროტებაზე. გილოცავთ და გისურვებთ მშვიდობას ისრაელსაც და საქართველოსაც!

ხანუქას დღესასწაულის აღნიშვნას თბილისის დიდ სინაგოგაში თბილისი მერი დაესწრო.

პირველი სიტყვა კი მსოფლიოს ქართველო ებრაელთა მთავარმა რაბინმა იაკობ გაგულამ თქვა და სტუმრებს ჩინებულად წარმოუდგინა ხანუქის არსი და ებრაელობის სულისკვეთება.

# ხულონში, შოთა რუსთაველის სახ. პარკში

შალომ დავიდის სახელთან არა მხოლოდ ებრაული კლასიკური მემკვიდრეობის ჩინებული თარგმანები, ბევრი სხვა ღირსეული საქმეც არის დაკავშირებული,ერთ-ერთი გამორჩეული კი ის გახლავთ, რომ ისრაელის მშვენიერი ქალაქ ხულონის ვიცე-მერობის წლებში, ქალაქი შოთა რუსთაველის სახ. პარკით დაამშვენა, თავის დროზე გაზეთ „მენორას“ მკითხველს დაწვრილებით უამბო, თუ როგორ მიაღწია ჩანაფიქრის აღსრულებას: მოსეს ხუთწიგნეულის, დავითის ფსალმუნებისა და ებრაული კლასიკური მემკვიდრეობის სხვა ქმნილებათა ჩინებულ მთარგმნელს, ძლიერ ეწადა, ქალაქში, რომელშიც ცხოვრობს და რომლის ერთ-ერთი მესვეურთაგანი — ვიცე-მერი გახლდათ, გენიალური რუსთაველის ისეთი ადგილი ყოფილიყო, სადაც ადამიანები სულს მოითქვამდნენ, შვებას იგრძნობდნენ.

და მიზანს მიაღწია კიდეც.

ლაშა ჟვანია კი, ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ერთობ აქტიური და კეთილ საქმეთა მოთავე კაცი, რის

ლაშა ჟვანია იქნებოდა, თუ ამ პარკს შემოქმედებით დატვირთვასაც არ მოუნახავდა.

და აი, ნოემბრის ბოლო პარასკევს შოთა რუსთაველის სახ. პარკმა უამრავი ადამიანი ისტუმრა. ამ დღეს ისრაელში საქართველოს საელჩოს, დიასპორული ორგანიზაცია „მამულისა“ და „ქართული ხელოვნების ცენტრის ისრაელში“ ეგიდით გაიმართა შოთაობა — დღესასწაული, რომელმაც ისრაელში დაბრუნებულ ქართველ ებრაელობასა და აქ თავმოყრილ ქართველობას საშუალება მისცა დიდ წინაპარს „ხლებოდნენ“. აქ იყვნენ ხულონის მერი მოტი სასონი, თავად შალომ დავიდი, ლაშა ჟვანია, მწერლები, საზოგადო პირნი, ისმოდა ქართული ლექსი, სიმღერა. დიდ წინაპარს შესძახოდნენ, რომ ქართული სიტყვა ძალუმად ხმიანობს.



ცისანა ჯანაშვილის ნახატი

# აღიარება

აღიარების სხვადასხვა გრადაცია არსებობს, მრავალსაფეხურიანია აღიარება — გააჩნია ვინ გაღიარებს, ვინ გცნობს ღირსეულ შემოქმედად. იერუსალიმის აღიარება კი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ხოლო ის ფაქტი რომ იერუსალიმში, ქალაქში, რომელშიც მიწის ყოველ მტკაველს დიდი, უზარმაზარი ფასი ადევს, შენი სახელობის ქუჩა — ტაიელეთი (ფოლორცი, რომელზეც ავტომანქარების გავლა აკრძალულია, აქ მხოლოდ ფეხით მოსიარულენი დადიან) გაიხსნება, დიდი მნიშვნელობის ფაქტია.

ასეთი რამ მოხდა — ამის ღირსად სცნეს ცნობილი ქართველი ებრაელი მხატვარი მიშა — მორდეხაი ჯანაშვილი. მორდეხაი ჯანაშვილმა, შემოქმედებითი ცხოვრება საქართველოში დაიწყო. 60-ანი წლების დამდეგს მისმა გამოფენამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია, შემდეგ ცხოვრება ისრაელში განაგრძო და სიცოცხლეც იქვე დაასრულა.

12 დეკემბერს კი იერუსალიმის ერთ უბანში დიდძალი ქართველი ებრაელობა შეიკრიბა — იხსნებოდა მიშა — მორდეხაი ჯანაშვილის სახ. ქუჩა-ტაიელეთი. აქ მოვიდნენ და გულთბილი სიტყვები წარმოსთქვეს ისრაელის დედაქალაქის — იერუსალიმის მერმა მოშე ლეონიმ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ისრაელში ლაშა ჟვანიამ და სხვ.

ეს კი აღიარების სულ სხვა — მნიშვნელოვანი გრადაციაა.

# ქნესეთი დაშალა

ისრაელის ახლადარჩეული ქნესეთი 11 დეკემბერს საბოლოოდ შეიკრიბა. იმის გამო, რომ ქნესეთის ვერცერთმა დეპუტატმა ვერ მოიპოვა 61 დეპუტატის მხარდაჭერა და პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავება, ქნესეთი მოქმედების უნარს მოკლებული აღმოჩნდა და სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა კანონპროექტი ქნესეთის დაშლის თაობაზე, რომელიც 11 დეკემბერს მეორე და მესამე მოსმენით იქნა მიღებული.

კანონპროექტში ქნესეთის დაშლის თაობაზე გაცხადებულია ახალი არჩევნების თარიღი — ისრაელის ქნესეთის, ერთი წლის განმავლობაში ამჯერად უკვე მესამე არჩევნები, რადგან ორი არჩევნების შედეგად ვერცერთმა პარტიამ ვერ შესძლო მთავრობის შედგენა, გაიმართება 2020 წლის 2 მარტს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რადიკალური ცვლილება არც მომავალ არჩევნებზე დაფიქსირდება და პარტიები მანდატთა თითქმის იმავე რაოდენობას მიიღებენ, რამდენიც წინა არჩევნებისას მიიღეს.

# დონალდ ტრამპის ხანუქა

აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხანუქის დადგომამდე — წინსწრებით — თეთრ სახლში სახანუქე მიღება გამართა და შეკრებილთა წინაშე პირველი სიტყვაც წარმოთქვა — ებრაელობას მიულოცა რა ხანუქის დღესასწაული, დასძინა:

— ყოველთვის პატივს მივაგებ და

ანგარიშს ვუწევ ებრაელ ხალხს.

შეიკრიბა კი დიდძალი ხალხი — ებრაელობა და არაებრაელობა — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, კონგრესმენები, სენატორები, როგორც დემოკრატები, ასევე რესპუბლიკელები, შესასვლელში კი გამოკრული გახლდათ აბრა, რომელზეც ეწერა: „ამ ღონისძიებაზე ყოველგვარი საკვები გლატ ქაშერია. საკვების სიქაშრეს ამოწმებდა რაბინი ლევი შემტოვი (ხაბადის წარმომადგენელი), ხორცეული ხასიდთა მიერ გახლავთ დამზადებული და მაშგიაჰის მიერ გაკონტროლებული“ ათეულობით სტუმარს თავზე ეხურა წითელი „კიპა,“ რომელზეც ეწერა: „ტრამპი“

ოცი მუსიკოსისაგან შემდგარი ორკერსტრი სახანუქე სიმღერებს ასრულებდა. ხანუქის სანთლების ანთების დროს ტრამპმა, რომლის გვერდითაც პირველი ლედი — მელანია ტრამპი იდგა, მიმართა რესპუბლიკელ და დემოკრატ სენატორებსა და დემოკრატებს, სანთლების ანთების ცერემონიალს ვიცე პრეზიდენტი მაიკ პენსი და მისი მეუღლეც შეუერთდნენ. აქვე იყვნენ პრეზიდენტის ასული და მრჩეველი ივანკა ტრამპი და მისი მეუღლე — პრეზიდენტის უფროსი მრჩეველი ჯარედ კუშნერი. ტრამპმა ხანუქის სანთლის ანთებისას თქვა:

— ამაყი გახლავართ იმით, რომ ებრაელთა რწმენა ჩვენი ოჯახის აღთქმული ნაწილია.

# ისრაელი — მერვე ზესახელმწიფო

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა Twitter-ის თავის გვერდზე მკითხველს აუწყა, რომ მსოფლიოს ზესახელმწიფოთა ჩამოთვლისას, ისრაელმა მერვე ადგილი დაიკავა — მიჩნეული იქნა მერვე ზესახელმწიფოდ. 2 დეკემბერს გამოქვეყნდა ამერიკული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგი. მთელს მსოფლიოში გამოიკითხა 20 000 ადამიანი.

პრემიერ-მინისტრმა ისრაელის მოქალაქეებს მადლობა მოახსენა იმის გამო, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში სწორედ ერთობლივი თავდაუზოგავი შრომით მოხერხდა ისრაელის ზესახელმწიფოდ ქცევა.

# ჟურნალი TIME:

## ისრაელის ელექტროთვითმფრინავი კაცობრიობის საუკეთესო გამოგონებაა

ისრაელის კომპანიის „Eviation “ მიერ შექმნილი ელექტროთვითმფრინავი Allice Jurnal TIME-ის ვერსიით, კაცობრიობის საუკეთესო გამოგონებათა სიაში შევიდა. ჟურნალი დასძენს, რომ ისრაელელ ინჟინერთა ეს გამოგონება „მომავალში გზას გაუხსნის „მწვანე ავიაციის“ განვითარებას, ლაპარაკია 11 ადგილიან თვითმფრინავზე (9 მგზავრი და ეკიპაჟის 2 წევრი), რომლის მაქსიმალური საფრენი წონაა 6.350 კგ. ამას გარდა, Allice ყველაზე დიდი და ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული ელექტროთვითმფრინავიაო, გვაუწყებს გაზეთი. თვითმფრინავი 95%-ით აგებულია კომპოზიციური მასალისაგან: მას აქვს სიმენსის ფირმის სამი 350 ცხენისძალიანი ელექტროძრავა, არის შესაძლებლობა ასევე გამოყენებული იქნას Magni X ფირმის ძრავა Magni 250ს, რომელსაც 375 ცხენისძალა გააჩნია.

კომპანიაში ამბობენ, რომ, ეს თვითმფრინავი შესაძლოა გამოყენებული იქნას, როგორც საჰაერო ტაქსი და ასევე როგორც „ექსკლუზიური სატრანსპორტო საშუალება ტოპმენეჯერებისათვის“ პირველ ვერსიის აკუმულატორებით შესაძლებელი იქნება 1046 კმ დაფარვა საათში 482 კმ/სთ სიჩქარით, მომდევნო ვერსია უფრო ძლიერი საჰაერო აკუმულატორებით იქნება აღჭურვილი და საათში 1367კმ დაფარავს, სიჩქარე — 444კმ/საათში.

# ევრაზიის ებრაელთა თავყრილობა

26-28 ნოემბერს კიევში, სასტუმრო „ფაინმორტში“ გაიმართა ევრაზიის ებრაელთა სამიტი,რომელიც ჩატარდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესისა და ევროპის ებრაელთა პარლამენტის ეგიდით. სამიტის მუშაობაში მონაწილეობდა 32 სახელმწიფოს ებრაელობის წარმომადგენლობა. საპატიო სტუმრები გახლდნენ: ისრაელის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი არიელ ბულშტეინი, „ნატივის“ მეთაური ნეტა ბრისკინ-პელეგი, გაზეთ „ისრაელ ჰა იომ“-ის მთავარი რედაქტორი ბოაზ ბისმუტი და სხვ.

26 ნოემბერს ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი, დოქტორი **მიხეილ მირილაშვილი** უკრაინის რადას დეპუტატთან, ევროპის ებრაელთა პარლამენტის თავმჯდომარესთან **ვადიმ რაბინოვიჩთან** ერთად შეხვდა უკრაინის რადას თავმჯდომარეს **დიმიტრო რაზუმკოვს**. პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე მიხეილ მირილაშვილმა დასვა საკითხი ისრაელში უკრაინის საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანის თაობაზე, უკრაინის რადას 86 დეპუტატმა მოითხოვა, მხარი დაუჭირონ აშშ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ინიციატივას, უკრაინამაც, ისევე, როგორც აშშ-მ, თავისი საელჩო იერუსალიმში გადაიტანოს. მიხ. მირილაშვილმა უკრაინის ხელისუფლებას ასევე მოუწოდა მიიღოს ანტისემიტიზმის ფორმულირება, რომელიც შეიმუშავა ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო ალიანსმა (IHRA) და დასძინა, რომ ასეთი ღონისძიებების ჩატარება, კიდევ უფრო გააღრმავებდა უკრაინისა და ისრაელის მეგობრულ ურთიერთობას.

უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარემ დიმიტრო რაზუმკოვმა მიხ.მირილაშვილს აღუთქვა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ყურადღებით მოეკიდება ამ საკითხებს.

უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ მიხეილ მირილაშვილმა რადას დეპუტატის — პარლამენტის ოპოზიციის მეთაურის, ვადიმ რაბინოვიჩის კაბინეტის კარს მეზუზა მიაკრა. 26 ნოემბრიდან უკრაინის პარლამენტის ერთ-ერთი ოთახის კარს მეზუზა იცავს და ამშვენებს.

27 ნოემბერს დილით ევრაზიის ებრაელთა სამიტი ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის შესავალი სიტყვით გაიხსნა. მან ისაუბრა დიასპორის ებრაელთა ერთიანობის სასიკეთო ტენდენციაზე, იუდეველთა რწმენისადმი ერთგულების მნიშვნელობაზე, კონგრესის უახლოეს ღონისძიებებზე საუბრისას, გააჟღერა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იერუსალიმში დაიდგმება ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთა ძეგლი, ეს ძეგლი საბჭოთა არმიის მიერ აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის განთავისუფლების დღის ჰოლოკოსტის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, სწორედ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის მიერ აღიმართება.

ეაე კონგრესის მუშაობაზე ვრცლად ისაუბრა მისმა გენერალურმა დირექტორმა ხაიმ ბენ იაკობმა. მან დელეგატებს წარუდგინა რეზოლუციების პროექტები. აღსანიშნავია რეზოლუცია კონგრესის ცენტრის ადგილსამყოფლის თაობაზე: ადრე კონგრესის ცენტრალური ოფისები გახლდათ მოსკოვში, კიევსა და ალმა-ათაში, მიხეილ მირილაშვილმა მიიჩნია, რომ კონგრესს უნდა ჰქონდეს ერთი ოფისი და იგი ისრაელში უნდა იყოსო. ამ მოსაზრებას ოპონენტები გამოუჩნდნენ: ეაე კონგრესი დიასპორული ორგანიზაციაა და ცენტრიც დიასპორაში უნდა ჰქონდესო, რასაც ახალმა პრეზიდენტმა მკაფიო პოზიცია დაუპირისპირა:

— ებრაელობა სადაც არ უნდა იყოს, ქვეყნიერების რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდეს, მაინც ისრაელისაკენ იყურება, იერუსალიმისაკენ პირშექცეული ლოცულობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ცენტრი ისრაელია.

კონგრესმა ასევე მიიღო რეზოლუცია ახალგაზრდობის ინტეგრაციის თაობაზე — კონგრესმა უნდა აღზარდოს და წარმოაჩინოს ახალგაზრდა ლიდერები.

* * *

**მოშე ასმანი, მორის კრიხელი, მიხეილ მირილაშვილი, თემურ ხიხინაშვილი, ვადიმ პოლიანსკი**

დღის მეორე ნახევარში სამმიტმა მუშაობა კიევთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ანატემკაში განაგრძო. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამმიტის მონაწილეებმა იხილეს საოცარი სურათი — დასტური იმისა, თუ რა შეუძლია მონდომებას, როცა მტკიცე რწმენით ხარ აღსავსე: ანატემკა ცნობილი სოფელია იმათთვის, ვინც კარგად იცნობს შოლომ ალეიხემის შემოქმედებას — ტევიე მერძევე სწორედ ამ სოფელში დადიოდა, მაგრამ დრომ აქ ყველაფერი შეცვალა — შოლომ ალეიხემის დროინდელი სოფელი პატარა ქალაქად იქცა, რომელშიც ებრაული აღარაფერი იყო. უკრაინის მთავარი რაბინი მოშე ასმანი კი დროის ტენდენციას შეეწინააღმდეგა და ანატემკაში ებრაული ყოფის აღორძინება განიზრახა. დღეს ქალაქ ანატემკაში რაბი მოშე ასმანის მეთაურობითა და ბიზნესმენების — იცხაკ მირილაშვილსა და ვადიმ რაბინოვიჩის დიდი ძალისხმევით, ებრაული დასახლება გაჩნდა, რომელშიც ყველა ის შენობა-ნაგებობა წამოიმართა, ურომლისოდაც ებრაელობა ვერ იცხოვრებს — აშენდა პატარა ებრაული ქალაქი ყველა საჭირო ატრიბუტიკით. განა მხოლოდ უკრაინის, მსოფლიოს სხვა ქალაქთაგან ანატემკას ამ დასახლებას ის განასხვავებს, რომ აქ მთავარი იუდაიზმის სწავლა და სწავლებაა.

უკრაინის მთავარი რაბინი **მოშე ასმანი** ჩვენთან საუბრისას ღიმილით იხსენებს:

— პირველ თვეებში, როცა ამ პაწია ქალაქის მშენებლობა წამოვიწყე, ჩემი არ სჯეროდათ, ეს არც მიკვირდა: იოლი არ არის ასეთი ფანტასტიური იდეა მიიღო და გაითავისო. იცხაკ მირელაშვილს ეს არ უთქვამს, მაგრამ ვგონებ, ისიც კი ეგონა, რომ ფული გამოვსტყუე და დავფანტე, მაგრამ ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად დამთავრდა, დღეს აქ ყველაფერია, თუმცა, ოთხი წლის წინათ არაფერი, სრულიად არაფერი არ იყო, გარდა იმისა, რომ მიწა ვიყიდე და მეკუთვნოდა. რასაკვირველია, ამ ძალიან მნიშვნელოვან საქმეში, სხვა ბიზნესმენებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ მთავარი სიმძიმე იცხაკ მირილაშვილმა და ვადიმ რაბინოვიჩმა ზიდეს.

ანატემკაში გაიმართა ეაე კონგრესისა და ევროპის ებრაელთა პარლამენტის ერთობლივი სხდომა. თანამედროვე ისრაელზე, ებრაელობის ყოფაზე, ებრაული ორგანიზაციების მუშაობაზე საინტერესოდ ისაუბრა ისრაელის ელჩმა უკრაინაში ჯოელ ლეონმა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში, რომელშიც პრეზიდენტიც ებრაელია და ოპოზიციის ლიდერიც (ზემოთ ნახსენები — ვადიმ რაბინოვიჩი), ანტისემიტიზმი ძლიერდება. საყურადღებო გახლდათ ეაე კონგრესის ებრაელთა ისტორიის კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელის პროფესორ ზეევ ხანინის, ეაე კონგრესის პირველი ვიცე პრეზიდენტის თემურ ხიხინაშვილის, რუმინეთის ებრაელობის წარმომადგენლის მარკო კუცის, ევროპის ებრაელთა პარლამენტის ვიცე თავმჯდომარის ალექსანდრე ზანდველის, დოქტორ უ. სემუელსის (საფრანგეთი), ადინ შტაინზალცის იუდაიზმის შემსწავლელი ინსტიტუტის ხელძღვანელის ი. შვეცის გამოსვლები.

საღამოს, კიევში დაბრუნების შემდეგ, გაიმართა ოფიციალური დარბაზობა, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს მიხეილ მირილაშვილმა და ვადიმ რაბინოვიჩმა.

ევრაზიის ებრაელთა სამმიტი 28 ნოემბერს კიევის „პრეზიდენტ ოტელში“ ევროპის ებრაელთა პარლამენტის სხდომით დაიხურა.

**გერშონ ბენ აბრამი**

## საქართველოს ებრაელობა შინ და გარეთ

# ღირსეულად განვლილი ცხოვრება

ცნობილი იურისტი, სამართალდამცავი სისტემის ღვაწლმოსილი, ნამდვილი პროფესიონალი, საუკეთესო სამართალმცდონე, მაღალზნეობრივი პიროვნება, გულისხმიერი, სათნო ადამიანი, ბ-ნი **ილია დავარაშვილი** 1926 წლის 16 დეკემბერს ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანში დაიბადა. ეს უბანი ბ-ნ ილიას ძალიან უყვარდა, რადგან ძველ თბილისში ხალხებს შორის „ურთიერთობა იყო „ურთიერთობა კეთილშობილთა ყრმათა“. ქალაქში სხვადასხვა სჯულისა და აღმსარებლობის ადამიანები ცხოვრობდნენ, ცხოვრობდნენ ძმურად, მეგობრულად, ჰარმონიულად... თბილისი მისთვის ყველაფერი იყო – სიყვარული, მეგობრობა... ოცდაექვსსაუკუნოვანი სულიერი ერთობა, თანაცხოვრება ქართველ ხალხთან ხომ უნიკალური მოვლენაა მსოფლიოში და დაე, ასე გაგრძელებულიყოს სამარადისოდ!



ილია სწავლობდა ვაჟთა მე-14 საშუალო სკოლაში (მახარაძის ქუჩაზე); საუკეთესო, თითით საჩვენებელი მოსწავლე იყო და სკოლა წარმატებით დაამთავარა. ყველა საგანს მშვენივრად ეუფლებოდა, მაგრამ განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგნები იტაცებდა — უყვარდა ლიტერატურა, ხელოვნება. ოჯახში 5 ბავშვი იზრდებოდა, 3 და და 2 ძმა.

ილიამ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი. გამორჩეული სტუდენტი იყო, ათეულობით სამეცნიერო შრომის ავტორი, ხშირად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში.

ბავშვობაში ძალიან უყვარდა დეტექტივების კითხვა, განსაკუთრებით კონან დოილის ნაწარმოებები, შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი, რომელიც სრულიად პრიმიტიული საგნებით (გამადიდებელი შუშით – ლუპით, თმის ღერით და სხვ.) ურთულეს საქმეებს ხსნიდა.

სამართალდამცველების – იორამ ჩადუნელის, ორდე დგებუაძის, შიო გვეტაძის, იაშაღაშვილისა და სხვათა მიერ შექმნილი დეტექტივები: „ბეწვის ხიდზე“, „მგლის ბილიკი“, „მგელკაცა“, „განთიადის დედოფალი“ და სხვ. ხომ ხელიდან ხელში გადადიოდა.

ბ-ნმა ილიამ ფართო განათლება მიიღო: მან იურიდიული, საინჟინრო, ეკონომიკური, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტიც დაამთავრა.

დრო ყოველთვის ძალიან ძვირფასი იყო მისთვის, უფრთხილდებოდა, იცოდა რა, რომ ვისაც დრო არაფრად უღირს, ვერასდროს მიაღწევს წარმატებას...

ჩემს შეკითხვაზე, „რა არის თქვენთვის ერეც-ისრაელი“ ბ-ნმა ილიამ მიპასუხა:

**ერეც-ისრაელი ჩემი ისტორიული სამშობლოა. „უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუშალაიმ, დავიწყებულ იქმნას მარჯვენა ჩემი“, — ღაღადებდა საუკუნეების მანძილზე სამშობლოდაკარგული ებრაელი. მაგრამ მე არასოდეს მიფიქრია საქართველოს დატოვება და ისრაელში ასვლა. ორი ერის, ორი ქვეყნის წარმომადგენელი ვარ და ჩემი აზრით, შეგიძლია იცხოვრო და იმოღვაწეო ნებისმიერ ქვეყანაში, სულით კი იყო ებრაელი, მოეფერო შენს ქვეყანას და არ დაივიწყო შენი ისტორიული სამშობლო.**

**ჩემს მშობლიურ თბილისში ჩემი ძვირფასი მშობლების, ნათესავების, ახლობლების, მეგობრების საფლავებია. მათი მიტოვება არ შემიძლია და არც მიფიქრია.**

**1991 წელს მეუღლესთან ერთად გახლდით ისრაელში, დავათვალიერეთ ამ ბრწყინვალე ქვეყნის ღირსშესანიშნაობები, ისტორიული ადგილები, მშენებლობები, კუთხე-კუნჭული... გავოცდით შრომისმოყვარე, პატრიოტი ებრაელი ხალხის ნაშრომ-ნაღვაწით და საუკეთესო შთაბეჭდილებებით დავბრუნდით საქართველოში.**

სახელმწიფო საგამოძიებო ორგანოებში ბ-ნმა ილიამ 48 წელი იმსახურა.

ბ-ნი ილია დავარაშვილი გახლავთ პოლკოვნიკი, წარდგენილი იყო გენერლის წოდებაზე (1990 წ.), მაგრამ მოულოდნელად საბჭოთა კავშირი დაიშალა, ყველაფერი აირია...

ბ-ნი ილია დავარაშვილს მიღებული აქვს უამრავი ჯილდო: სიგელები, მადლობები, ნივთების სახითაც.

ილია დავარაშვილი სტუდენტობის წლებშივე მუშაობდა ჯერ სასამართლოს სხდომის მდივნად, შემდეგი კანცელარიის მდივნად, თბილისის კალინინის რაიონისა და 26 კომისრის რაიონების პროკურატურაში – რამდენიმე წლის განმავლობაში სახალხო გამომძიებლად, პროკურორის თანაშემწედ, რესპუბლიკის პროკურატურაში საერთო ზედამხედველობის პროკურორად, აგრეთვე საგამოძიებო განყოფილების პროკურორად ათეული წლების განმავლობაში, ხოლო შემდეგ – საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო განყოფილების უფროსად. უკანასკნელ წლებში აღნიშნული განყოფილების უფროსის მოადგილედ, საიდანაც 1986 წ. პენსიაზე გავიდა, როგორც იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

პენსიაზე გასვლის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ადვოკატურაში სისხლის სამართლის საქმეთა ხაზით.

ბ-ნი ილია დიდი კმაყოფილებით იხსენებს ნიუ იორკში, კვინსის სალოცავში გამართულ დაუვიწყარ საღამოს, შეხვედრას, რომელიც მოუწყვეს მას და ცნობილ მთარგმნელს, პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, ბ-ნ ჯემალ აჯიაშვილს. საზოგადოებამ დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ამ ორი დამსახურებული, უანგარო მოღვაწის მიმართ და მათაც დიდად გაიხარეს.

სამართლის მსახური, ბ-ნი ილია აღნიშნავს, რომ სამსახურში ყოველთვის იყო ძალზე პრინციპული, მომთხოვნი, დისციპლინირებული, არ უყვარდა ხმამაღალი ლაპარაკი, გულში წყენას არასოდეს იტოვებდა, ოჯახში – რბილი, დამთმობი, ლმობიერი, მეგობრული... მოლხენაც კარგი იცოდა, შვილების ქორწილში თამადა თავად იყო: გულღია, უშუალო, კეთილი, გონიერი, ენამოსწრებული... გული წყდებოდა, რომ სპორტს ვერ მისდევდა დროის უქონლობის გამო, მაგრამ ფეხით ბევრს დადიოდა.

მისთვის უპირველესი მცნებები იყო: შრომა, მოვალეობა, პასუხისმგებლობა, ცოდნა, კეთილსინდისიერება, ხარისხიანი განათლება. ვერ იტანდა კარიერისტებს და დიქტატორებს. ჰქონდა დიდი პასუხისმგებლობა ქვეყნის, ხალხის, ოჯახისა და საკუთარი თავის მიმართ. წლების მანძილზე იწვევდნენ რესპუბლიკის პროკურატურაში კონსულტანტად.

ბ-ნი ილია ლექციებს კითხულობდა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მოსკოვში, ლენინგრადში, აგრეთვე საატესტაციო კურსებზე. უდიდესი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა გამომძიებელთა კურსებზე გადამზადებაში.

გაუხსნელი საქმეები არ ჰქონია, ჰქონდა წარმოებით შეწყვეტილი საქმეები მტკიცებულებათა არარსებობის გამო. სამართალდამცავ ორგანოებში იმუშავა 48 წელი უწყვეტად, ჰქონდა ძალზე გახმაურებული საქმეები, მაგ. ზედმიწევნით მნიშვნელოვანი ე.წ. „კატრექსის საქმე“ (ალექსანდრე გაჩეჩილაძის საქმე — მედიცინაში სიმსვნის საწინააღმდეგო პრეპარატის „კატრექსის“ დანერგვასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟის გამო).

მეგობრები მრავლად ჰყავდა ბ-ნ ილიას, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა დატოვა სამზეო და ზეციურ სასუფეველში დაიდო სამარადისო ბინა. ამჟამად ჰყავს ერთი თანაკლასელი მეგობარი, თვალსაჩინო მხატვარი, ბ-ნი ლევან ცუცქირიძე, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები ეკუთვნის. ბ-ნი ილიას ძვირფასი დედის პორტრეტი, გარდაცვალების შემდეგ ბ-ნმა ლევანმა დახატა (1945 წ.). ეს პორტრეტი დავარაშვილების ოჯახის ძვირფას რელიკვიას წარმოადგენს.

ბ-ნ ილიას თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში, ბევრი ფათერაკი გადახდენია თავს — ხშირად იყო მუქარა, აშკარა საფრთხეც... (ოჯახში ამაზე არ საუბრობდა, რომ არ ენერვიულათ...).

ჩემდა მოულოდნელად, ბ-ნი ილია შესანიშნავი

დეკლამატორი აღმოჩნდა და ლირიკული გადახვევებით გაალამაზა ჩვენი შეხვედრა: შთამბეჭდავად, ემოციურად ზეპირად წარმოთქვა თავისი საყვარელი პოეტების – გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, მუხრან მაჭავარიანის ლექსები, შემდეგ საკუთარი გულშიჩამწვდომი სტრიქონებიც შემოგვთავაზა, მაგალითად:

**როცა თვალს ვავლებ მე ჩემსა წარსულს,**
**როცა ფიქრები თვითონ მოდიან,**
**როცა ჩემს შვილებს ვხედავ გამართულს**
**და როცა ჩემს ცოლს ვხედავ მომღიმარს,**
**მე მაშინა ვარ ისევ ოცი წლის**
**და ეს სამოცი არც კი მგონია.**

16 დეკემბერს ბ-ნ ილიას 93 წელი შეუსრულდა, მას კი თვალები ჭაბუკურად უბრწყინავს და მგზნებარედ დეკლამირებს...

ბ-ნ ილიას ქართველი მწერლებიდან ძალიან უყვარს ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა.

დღევანდელი გადასახედიდან, ბ-ნი ილია დავარაშვილი არაფერს შეცვლიდა თავის ცხოვრებაში, რადგან ძალიან უყვარდა თავისი პროფესია, მისი მოწოდება იყო სიმართლის მსახურება, დაჩაგრულისთვის დახმარების აღმოჩენა, უსამართლოდ დაკავებულის განთავისუფლება... შვილებმა არ აირჩიეს მისი პროფესია, მედიცინის სფეროში მოღვაწეობენ და უმაღლეს საფეხურებზე იმყოფებიან.

რაოდენ დასანანია, რომ ბ-ნმა ილიამ თავისი ძალზე შინაარსიანი, ნაყოფიერი ცხოვრება წიგნად არ აკინძა, მოგონებები არ გააცოცხლა, მას ხომ იმდენი საინტერესო ფაქტის, მომენტის გახსენება და გაშუქება შეეძლო.

ბ-ნ ილიას და ქ-ნ ანას ტრადიციული, მორწმუნე, ებრაული ოჯახი აქვთ. მათ დავუსვი კითხვა, რა დამოკიდებულება აქვთ საქველმოქმედო ცენტრ „ხესედ ელიაჰუსთან“. ამ შეკითხვაზე სიამოვნებით მიპასუხა ქ-ნმა ანამ:

— ეს საოცარი ცენტრია. აქ მუშაობენ არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებების მქონე ადამიანები. აქ სითბო, სიმყუდროვე და სილამაზეა. ბატონ რევაზ შათაშვილს დიდ მადლობას მოვახსენებთ ყოველივე იმისთვის, რაც აქ, ადამიანებისათვის კეთდება. ასეთი ბრწყინვალე ხელმძღვანელობისთვის კიდევ და კიდევ უდიდეს მადლიერებას და პატივისცემას გამოვხატავთ. მადლობა იმ ქვეყანას, რომელიც არ ივიწყებს თავის მოძმეებს მთელ მსოფლიოში. ეს სახლი ოაზისია ჩვენთვის. ჩვენთან სისტემატურად დადის ძალზე თბილი და ყურადღებიანი მომვლელი გოგონა, ის გვეხმარება ოჯახში საჭირო საქმის შესრულებაში, იქნება ეს პროდუქტების, წამლების შეძენა, ბინის დალაგება, კერძის მომზადება თუ სხვა საჭიროება. თანამშრომლები მუშაობენ კეთილსინდისიერად, მთელი ძალისხმევით.

ბ-ნი ილია დავარაშვილი საინტერესოდ, ხალისით მოგვითხრობს თავის მოღვაწეობაზე, სირთულეებზე, ფათერაკებზე, მის საუბარს არც იუმორი აკლია, მაგრამ სულ ცდილობს, უფრო მეტად თავის სახელოვან შვილებზე ილაპარაკოს... სალაპარაკოც, დამერწმუნეთ, ბევრი აქვს...

ბატონი ილიას მეუღლე, ქალბატონი ანა თეთრუაშვილი ფილოლოგი გახლავთ, ქართული ენის სპეციალისტი: სანდომიანი, თავაზიანი, მომთმენი, სანიმუშო ქალბატონი. „ანა ჩემთვის ღვთის საჩუქარია“-ო, ღიმილით აცხადებს ბ-ნი ილია და ხუმრობით დასძენს:

— საძებნელად დრო სად მქონდა და მეზობლად მცხოვრები მშვენიერი ქალიშვილი მოვიყვანე ცოლად.

მაქსიმ გორკი წერდა: „ყველაფერი კარგი და მშვენიერი ადამიანში მზის სხივებისა და დედის რძისაგანაა“. ჭეშმარიტად, „ადამიანები მუდამ იქნებიან ისეთნი, როგორებადაც მათ ქმნიან ქალები“ (ჟან-ჟაკ რუსო).

დიდი ვაჟა-ფშაველა უმაღლეს შეფასებას აძლევდა დედას: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“-ო. სწორედ ასეთი, „ღმერთის სწორი“ დედა გახლავთ ქ-ნი ანა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შვილებს შესწირა. თითქმის 70 წელია, ბ-ნ ილიასთან ერთად ეწევა ოჯახის მძიმე უღელს და ნაყოფიც სახეზეა: ორი ვაჟი ჰყავთ, ორივე სახელოვანი, მედიცინის დოქტორები, პროფესორები გახლავან...

უფროსი ვაჟი სოსო დავარაშვილი უკვე 28 წელია ოჯახთან ერთად ლონდონში ცხოვრობს და წარმატებით მოღვაწეობს. გახლავთ ლონდონის ერთ ერთი ცნობილი და წარმატებული კარდეოლოგი, მისი მეუღლე ნონა ოზერიანსკაია დიეტოლოგია.

მეორე ვაჟი — დავითი საქართველოში ცნობილი და წამყვანი მეან-გინეკოლოგია, მისი მეუღლე ლელა წიწუაშვილი კი ხელოვნებათმცოდნე, ებრაული კულტურის მკვლევარი.

ბატონ ილიას ექვსი წარმატებული შვილიშვილი ჰყავს.

კანონისადმი ერთგულებით, ღვთის შიშით და სიყვარულით, კაცთმოყვარეობით, პირდაპირობით, ობიექტურობით, ოპტიმიზმით იცხოვრა რამაც განაპირობა მისი წარმატება.

ნათქვამია: „სწორედ კაცის მიერ ნაკეთები სიკეთეაო მისი სიდიადე!“ ბ-ნი ილიას ცხოვრებას ასერიგად ესადაგება ცნობილი თურქი მწერლის ნაზიმ ჰიქმეთის სტრიქონები:

„მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ჩვენ თუ არ დავიწვით, ბნელს რა გაანათებს?!...“

**ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე**

16 დეკემბერს რუსეთის ებრაელთა კონგრესის ეგიდით მოსკოვში ჩატარდა კონფერენცია „სსრკ ებრაელები — იატაკქვეშეთიდან გამოსვლის 30 წლისთავი“, რომელიც მიეძღვნა 1989წ. ჩატარებული სსრ კავშირის ებრაული თემებისა და ორგანიზაციების 30 წლისთავს. კონფერენციაზე მიწვეული გახლდნენ პირველი ყრილობის მონაწილენი, ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გურამ გათიაშვილმა კონფერენციაზე თავის გამოსვლაში ისაუბრა ამ ყრილობის მნიშვნელობაზე ებრაელობის ეროვნული იდენტიფიკაციის გაძლიერების მიმართულებით.

# საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი როინ მეტრეველი 80 წლისაა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკლევარი - როინ მეტრეველი 80 წლისაა! ძნელად დასაჯერებელია!

თუმცა რაა?! ეს ხომ მხოლოდ არითმეტიკული ოდენობაა, რომელიც სრულიადაც ვერ ასახავს სულიერ პოტენციალსა და ინტელექტუალურ უნარს. როინ მეტრეველის მეცნიერული მიღწევების შეჯამება- შეფასება ჯერ ნაადრევია! მითუმეტეს, რომ ეს ჩემს კომპეტენციას აღემატება. მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ქართული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორი ფრთის - საერო და სასულიერო ხელისუფლების რაობისა და ურთიერთდამოკიდებულების ღრმა დიალექტური შესწავლა, რაც დღესაც აქტუალურია თვითმყოფადი ქართული სახელმწიფოს არსებობის თვალსაზრისით.

ცალკე აღსანიშნავია როინ მეტრეველის მრავალწლიანი ადმინისტრაციული მოღვაწეობა- მთელი რიგი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების წარმატებული ხელმძღვანელობა და განსაკუთრებით მინდა ხაზი გაუსვა ჩვენი აკადემიის ხელმძღვანელობას, რასაც როინ მეტრეველი ბატ ონ გიორგი კვესიტაძესთან ერთად წლების მანძილზე ეწევა.

ქართული ეროვნული შემეცნებითი კერის შთაბერვას ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების თოთხმეტი საუკუნე დასჭირდა. ქართველი მოაზროვნე-მკლევართა პროფესიული გაერთიანება საქართველოს დასავლეთსა და აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა და ამ მხრივ საქართველოს სამეფო წინ უსწრებს ევროპის უძველესი უნივერსიტეტების დაარსებას! ამ მილოცვის ავტორს მოუწია ერთი სემესტრის განმავლობაში ოქსფორდის უნივერსიტეტში ყოფნა და სამახსოვროდ უნივერსიტეტის ბუკლეტი მაჩუქეს, სადაც უნივერსიტეტის ყველა კოლეჯის ისტორია არის მოთხრობილი. და განსაკუთრებული სიამაყით ხაზგასმულია, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კოლეჯი იტალიაში უძველესი - პარმის უნივერსიტეტზე ადრეა დაარსებულიო. ამასთან დაკავშირებით მორიდებულად შევნიშნე, რომ ამ დროს (ლაპარაკია მე-12 — მე-13 საუკუნეებზე) საქართველოში უკვე დიდი ხანია აკადემიები არსებობდა-მეთქი. კიო, მიპასუხა იქაურმა პროფესორმა, მე გელათის აკადემიის ისტორია ვიცი, მაგრამ სადაა გელათი, ოქსფორდი კი ახლაც არსებობს! რა უნდა მეთქვა, გავჩუმდი. და მართლაც, მრავალგზისი ძნელბედობის შედეგად ეროვნული აკადემიის აღდგენა-აღორძინებას კიდევ რვაასი წელი ელოდა ქვეყანა. დღეს გვაქვს - არა, გვყავს აკადემია, რადგანაც აკადემია შენობა კი არაა, არამედ მასში გაერთიანებული პიროვნებებია და მას ისევ სჭირდება მფარველი მტკიცე ხელი. მე გულწრფელად ვუსურვებ ბატონ როინ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და ამ საპატიო მისიის ტარებას.

პატივის ცემით
**იერუსალიმის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის პროფესორი**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი**
**კოტე ლერნერი**

## აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტის ბ-ნ როინ მეტრეველის 80 წლისთავთან დაკავშირებით

ძლიერ მოხარული ვარ, რომ მეძლევა საშუალება აშშ დედაქალაქიდან შევეხმიანო და დაბადების მე-80-ე წელი მივულოცო ბ-ნ როინ მეტრეველს.

ბ-ნი როინის სახელი ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის წლებში ხმიანობდა.

გამოხდა ხანი და იგი ერთობ ანგარიშგასაწევი ფიგურა, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გახდა. ეს სახელი და ავტორიტეტი დიდი შრომის ნაყოფია.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ბატონი როინი იმჟამიდან მოყოლებული ეროვნულობის სამსახურში დგას.

ამაზე მეტყველებს ის, რა შრომაც მან გასწია საქართველოს წარსულის შესწავლისათვის, ამაზე მეტყველებს მისი გარჯა, ჯერ ჩვენს საყვარელ დედაუნივერსიტეტში, მერე კი მეცნიერებათა აკადემიაში.

ეს იყო 2011წელს — შოთა რუსთაველის — ქართული პოეზიის კვირეულის დღეებში: ბ-ნი როინი ისრაელში ჩამობრძანდა,იმ დღეებში გამართულ შემოქმედებითი საღამოებისას, თუ მეგობრული სერობისას მასთან შეხვედრები, საუბრები დღემდე მომყვება.

ამ ორიოდე თვის წინათ საქართველოში გახლდით. მეცნიერებათა აკადემიაში შეხვედრისას, ბ-მა როინმა თავისი წიგნები მისახსოვრა. დღეს, აქ, ვაშინგტონში ამ წიგნებს დიდი გულისყურით ვეცნობი. მთავარი დასკვნა: ბ-ნი როინის ნაშრომები გვეხმარება მოვლენების უკეთ ახსნაში — ჩვენს მუშაობაში.

როგორც ებრაელები იტყვიან, ადმეავეესრიმ, ასოც წლამდე — მოსეს ასაკამდე, ბატონო, როინ!

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი**
**იცხაკ დავიდი (დავითაშვილი)**

## ესე ამბავი "მრისხანე" „დეკნი მოადგილისა" და რექტორისა

ბედნიერება მქონდა დიდებულ საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერთან ბატონ როინ მეტრეველთან წლების განმავლობაში მქონოდა ურთიერთობა და მისი ჭეშმარიტი მაღალადამიანობის ნათელსაყოფად ერთ ლამის ანეკდოტურ, მაგრამ რეალურ ფაქტს გავიხსენებ:

რამდენიმე წელიწადს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკუტეტის დეკანის მოადგილედ ვმუშაობდი. ცოტა ხანში ბატონი როინი უნივერსიტეტის რექტორი გახდა, მაგრამ კვლავინდებურად განაგრძობდა პედაგოგიურ საქმიანობას, როგორც საქართველოს ისტორიის ლექტორი. ეს კურსი მას ჩვენს ფაკულტეტზეც მიჰყავდა. სასწავლო ცხრილის შედგენისას, დიდხანს ვიფიქრე, როდის დამენიშნა მისთვის ლექცია და ცოტა თამამი გადაწყვეტილება მივიღე: შაბათობით სტუდენტები მაინც და მაინც აქტიურად არ ესწრებოდნენ ლექციებს, მაგრამ პროფ. როინ მეტრეველი ერთობ პოპულარული ლექტორი გახლდათ, ამიტომ მისი ლექცია დავნიშნე შაბათს დილის ცხრის ნახევარზე იმ იმედით, რომ სტუდენტები ბატონი როინის მოსასმენად მოვიდოდნენ და შემდეგ მათი ნაწილი მაინც დარჩებოდა დანარჩენ ლექციებზე.

ამ გადაწყვეტილების სირთულე ის გახლდათ, რომ შეიძლებოდა რექტორს არ მოსწონებოდა თავის ერთადერთ ნახევადასვენების დღეს ასე დილაადრიან ლექციის დანიშვნა. ამიტომ პირველივე შაბათს აუდიტორიასთან დავხვდი, მინდოდა ამეხსნა, რამ განაპირობა ამ დროს მისთვის ლექციის დანიშვნა. ბატონი როინი ღიმილით შემეგება და ხუმრობით მითხრა: „დამჩაგრე, ხომ, დამჩაგრე." შემდეგ კი სრულიად სერიოზულად განაგრძო: სავსებით სწორად მოიქეცი, ჩვენ აქ იმისთვისა ვართ, რომ სასწვლო პროცესის უკეთ წარმართვა შევძლოთ. გმადლობთ, ჩემო რუბენ.

ასეთი განრიგი მომდევნო სასწავლო წელსაც შევინარჩუნეთ.

მერე მე ისრაელში გადავედი საცხოვრებლად. მშობლიურ უნივერსიტეტში რამდენიმე წლის შემდეგ უკვე სტუმრად ჩასულს ბატონი როინი საოცარი გულითადობით შემხვდა სააქტო დარბაზში საგანგებოდ მოწყობილ შეხვედრაზე და თავის გამოსვლაში ხუმრობით აღნიშნა, ეს იყო უნივერსიტეტში ერთადერთი კაცი, რომელიც ჩემს დაჩაგვრას არ ერიდებოდაო. ბატონი როინი რამდენჯერმე ისრაელშიც ბრძანდებოდა სტუმრად და ყოველთვის ღიმილით ვიგონებდით ხოლმე მრისხანე „დეკნი მოადგილის" სითამამეს. ეს ამბავი სამარადისოდ შემონახულია ჩემს მეხსიერებაში, როგორც დიდი მეცნიერის მაღალადამიანურობის ნიმუში.

**პროფ. რეუვენ ენოხი**
**(რუბენ ენუქაშვილი)**
**არიელის უნივერსიტეტი, ისრაელი**

# რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

## რაბინის კუთხე

**აჰარონ მდინარაძე**

# რა არის ხანუქა?

როდესაც ბერძნებმა ააოხრეს ბეით ჰამიკდაში, შებილწეს ზეთი, რომელსაც ისრაელები მენორის ასანთებად იყენებდნენ. ხაშმონაების გამარჯვების შემდეგ ეძებდნენ ზეთს და იპოვეს მხოლოდ ერთი ქილა, რომელზეც იყო ქოენ ჰაგადოლის ბეჭედი. მასში იყო მხოლოდ ერთი დღის სამყოფი ზეთი, მაგრამ მოხდა სასწაული და ენთო 8 დღე. ერთი წლის შემდეგ იგივე დღეებში დაადგინეს დღესასწაული „მადლიერების და განდიდების." (თალმუდი,შაბათი 21ბ)

3408(352 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) წელს აშენდა მეორე ბეით ჰა მიკდაში.(ტაძარი)

3552 წელს იუდეია მიიერთა სირიის მეფემ – ანტიოქ მესამემ, გაიზარდა გადასახდელების რაოდენობა მთელ იმპერიაში, მათ შორის იუდეაშიც. მის შემდეგ სათავეში მოვიდა სელევკ მეოთხე.

იმ პერიოდში ისრაელებში გაიზარდა ელინიზმის გავლენა. ელინიზმი უმაღლეს საფეხურზე აყენებდა ფიზიკურ სილამაზეს და ჰარმონიას საპირისპიროდ თორისა, რომელიც პირველ რიგში ყურადღებას აქცევს სულიერ სრულყოფას, გარეგანი სილამაზე კარგია მაშინ როდესაც ის დამორჩილებულია ჰაშემის გზებს. იოხანანი ყველანაირად ეწინააღმდეგება ელინიზმის გავრცელებას იუდეაში, რაც მიუღებელი იყო ბერძნებისთვის.

ერთ-ერთმა ელინიზერებულმა ებრაელმა სელევკ მეოთხეს შეატყობინა, რომ იერუშალაიმის ტაძარში ინახება დიდი სიმდიდრე, იგი აგზავნის თავის მინისტრს-გელიდორს, ფულის ამოსაღებად,

ის ძალით შევიდა ტაძარში და პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე დაკარგა აზროვნების უნარი

სელევკ მეოთხე მალე მოკლეს და 175 წელს ჩვენ წელთაღრიცხვამდე გამეფდა ანტიოქ მეოთხე, რომელიც იზრდებოდა ელინურ ტრადიციებზე. მისი მიზანი იყო იმპერიის გაერთიანება ერთიანი ბერძნული კულტურის ქვეშ.

3593 წელს (167 ჩვენ წ.ა.) ანტიოქ მეოთხემ ააოხრა ბეით ჰამიკდაში.

ებრაული რწმენა გამოცხადდა უკანონოდ: თორის სწავლისათვის, ნათლობისათვის, შაბათის და ქაშერი საჭმელის პრინციპების დაცვისთვის ისრაელებს სიკვდილით სჯიდნენ.

აი რას წერს ისტორიკოსი იოსეფ ფლავიუსი თავის წიგნში – "ებრული საგანძური" (თავი 5)– "შემდეგ მეფემ(ანტიოქ მეოთხე), ტაძარში სადაც სრულდებოდა მსხვერპლის შეწირვა, დაკლა ღორი, ცხოველი რომელიც ყველანაირად იყო მიუღებელი იეუდეველებისთვის, ამასთან ერთად ბრძანა ყველა ქალაქში და დასახლებაში, დაედგათ კერპები და ყოველდღე მიეტანათ სამსხვერპლოდ - ღორი."

ბევრი ებრაელი შეეწირა ამ საშინელ ბრძანებას, ცნობილია ებრაელი უხუცესის ელაზარის ისტორია, რომელსაც სთხოვეს სახალხოდ ეჭამა მის სახლში დამზადებული ქაშერი ნამზადი, ოღონდ ხალხისთვის გამოეცხაედებინა, რომ ის სჭამს ღორს. ასევე ებრაელი დედის — ხანას ისტორია, რომლის თვალწინ მოკლეს მისი შვიდი ვაჟი და ის მაინც არ ეთაყვანა კერპებს.

ისინი და ბევრი ებრაელი იქნა მოკლული ბერძნების მიერ. იმ პერიოდში, როდესაც ბერძნები დადიოდნენ სოფლიდან სოფელში და აიძულებდნენ ხალხს მათი ბრძანებების შესრულებას.

არანაკლები და შეიძლება უფრო მეტი პრობლემები ემუქრებოდათ იეუდეველებს შიდა პროპაგანდისგან, იყვნენ მათ შორის ეგრეთ წოდებული – "მითიავნიმ"-ები, არისტოკრატული ებრაული ოჯახების წარმომადგენლები-"ოქროს ახალგაზრდობა", რომლებიც ნელ-ნელა ითვისებდნენ ბერძნულ ფილოსოფიას, ყველაფერი დაიწყო უბრალო ვარჯიშის და ათლეტიზმის გატაცებით, შემდეგ თეატრით, ოლიმპიადებით და მთავრდებოდა თორის ტრადიციის მიტოვებით. ისინი იძახდნენ: არ შეიძლება "ძველ" ტრადიციების გაყოლა, ჩვენ არ ვცხოვრობთ უხსოვარ საუკუნებში, ეს არის ბერძნული ცივილიზაციის ""ოქროს ხანა", ადამიანი ხდება მოწინავე, თავი დაანებეთ მკაცრწესებს და აღიარეთ " სილამაზის" იდეალი.

ამათ შორის ყველაზე "პროგრესულებმა" მოითხოვეს

იერუშალაიმში "გიმნასიუმის" (ტანვარჯიშის სკოლის) გახსნა,

მაშინდელი ტრადიციით ისინი ვარჯიშობდნენ აბსოლიტურად შიშვლები, ბერძნულად "გიმნასიო" ნიშნავდა შიშველს.

ელიაჰუ კი ტოვი თავის წიგნში "სეფერ ჰათოდაყა" წერს – "ბერძნები მზად იყვნენ დათანხმებოდნენ ისრაელებს თორის ზოგიერთ მიცვებში, ოღონდ ისინი სასტიკი წინააღმდეგები აღმოჩნდნენ ებრაული ნათლობის(წინდაცვეთა), შაბათის დაცვის და როშ-ხოდეშის (ახალი თვის აღნიშვნა). პირველი ორი არის ისრაელი ერის კავშირი ჰაშემთან, ხოლო მესამეზე დამოკიდებულია ჩვენი დღესასაწაულების თარიღების სწორი გამოთვლა. "

ისევ იოსეფ ფლავიუსი - "ებრული საგანძური" (თავი 6)- "ერთ სოფელში ცხოვრობდა მათათიაუ ქოენ ხაშმონაი თავის 5 შვილით, (იოხანანი,შიმყონი,იეჰუდა, ელყაზარი და იონათანი), როდესაც იქ შევიდნენ მეფის გზავნილები, მათ მოთხოვეს მას სახალხოდ შეეწირა ღორი, მათათიაუსგან მიიღეს უარი, მაგარამ გამოჩნდა სხვა ადამიანი ვინც ეს გააკეთა სახალხოდ, რის შემდეგაც მათათიაუმ და მისმა შვილებმა მოკლეს ეს იუდეველი, აგრეთვე ბერძნების ხელმძღვანელი აპელასი და მისი ჯარისკაცები."

მათათიაუმ თქვა ცნობილი სიტყვები "მი ქამოხა ბაყოლამ ჰაშემ!" („რომელი ძალა შეგედრება შენ ჰაშემ"). ამ სიტყვების შემდეგ ისინი გაიხიზნენ გამოქვაბულებში, მათ სოფლიდან გაჰყვა ბევრი ხალხი და ნელ-ნელა სხვადასხვა კუთხებიდანაც უერთდებოდნენ.

მათათიაჰუ ხალხს ერთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, სიკვდილის წინ დაიბარა შვილები და უთხრა: "სულიერ საკითხეებში დაუჯერეთ შიმყონს, ხოლო სამხედროში, იეჰუდას (მას მომავალში შეარქვეს "მაკაბი"- "მაკავეი", ხოლო მის მიმდევრებს მაკაბელები.)" – რაბი მოშე ოიერბახი – ებრაული ხალხის ისტორია.

დაწყო აჯანყება, რომელიც დამთავრდა იუდეველების სასწაულებრივი გამარჯვებით, ექვსი ათასიანმა რაზმმა იეჰუდა მაკავეელის ხელმძღვანელობით, დაამარცხა სამოც ათასიანი არმია ყველაზე ცნობილი ბერძენი მხედარმთავარის ლისის მეთაურობით.

3595 წლის 25 ქისლევს იუდეველებმა გაანთავისუფლეს ტაძარი, დაიწყეს მისი წესრიგში მოყვანა, იპოვეს ერთი ქილა წმინდა ზეთი, შესწირეს აშემს მსხვერპლი, და აანთეს მენორა, ზეთმა რომელიც იყო სამყოფი მხოლოდ ერთი დღისთვის, სასწაულებრივად გაძლო 8 დღე.

ამ სასწაულებთან დაკავშირებით მომავალი წლიდან დადგინდა ხანუქის დღესასწაულის აღნიშვნა 8 დღის განმავლობაში.

"ელინიზმმა წინ წაწია მსოფლიო, ბერძნულმა კულტურამ დაფარა ადამიანის ცხოველურობა, მაგრამ ლამაზი მანერების, ესთეტიკის

და ბრწყინვალების ქვეშ იმალებოდა ცხოველური მოთხოვნები და აკრძალული სიამოვნებების სურვილები. გარედან ლამაზი ელინი შიგნით დარჩა სასტიკ, ეგოისტ და გარყვნილ არსებად".(რაბი მოშე პანტელატი)

რამხალი (რაბი მოშე-ხაიმ ლუცატო) თავის წიგნში – "მესილათ იეშარიმ" წერს: "ღამის სიბნელეს მიჰყავს ადამიანი ორ შეცდომამდე, ან ვერაფერს ვერ ხედავს, ან ბოძს იღებს ადამიანად ან ადამიანს იღებს ბოძად".

"ბერძნებმა ისრაელებს დაუბნელეს თვალები. დააყენეს აბსოლიტური სიმართლის ნაცვლად სიცრუე, სულიერი სრულყოფა შეცვალეს გარეგანი სილამაზით (სინამდვილეში სიყალბე-სიცრუე). დღევანდელი ცივილიზაციაც აგებულია ამ სიცრუეზე, რომელიც ჩვენზეც ახდენს გავლენას, და ეს ბრძოლა იავანის (ბერძნების) გალუთის (განდევნა) წინააღმდეგ ახლაც გრძელდება და საბოლოო გამარჯვება სამწუხაროდ ჯერ კიდევ მისაღწევია საერთო ძალებით, ჰაშემის რწმენით და სამსახურით." (რაბი მოშე პანტელატი).

ჰქნას ჰაშემმა რომ დაეხმაროს თითოეულ ისრაელს მიხვდეს მის დანიშნულებას ამ სამყაროში, დაუბრონდეს მის გზებს და ემსახუროს მას მთელი გულით და სიყვარულით და მაშინ ჰაშემი აღარ დააყოვნებს და აგვიშენებს ბეით ჰა მიკდაშს, მალე ჩვენს დღეებში,

ამენ ვე ამენ

ხანუქა ხაგ სამეახ

სალოცავ ბეით რახელის რაბინი - აჰარონ მდინარაძე

ხანუქის არჩევანი:

რაბი ლევი იცხაკ-ბერდიჩევიდან:

1. ღამე-არ იყოთ მარტო და დეპრესიულ მდგომარეობაში,
2. ღამე-უნდა ვილოცოთ შალომ ბაითზე (მშვიდობა ოჯახში) და შიდუხზე (ვისაც უნდა თავისი ნახევრის პოვნა),
3. ღამე-უნდა ვილოცოთ რომ ჩვენი შვილები იყვნენ ბედნიერი და ჯანმრთელნი
4. ღამე-გავიხსენოთ რახელის, ლეას, ბილჰას და ზილფას დამსახურება. ვილოცოთ ქალურ ბედნიერებაზე,
5. ღამე - ვილოცოთ რომ ქმრები და შვილები სწავლობდნენ თორას და იყოს ჩვენი ცხოვრება განათებული,
6. ღამე-რომ გქონდეთ ცხოვრებაში ნამდვილი სიმხა-სიმხიარულე, რადგან შესაძლოა, ადამიანს ჰქონდეს ყველაფერი, მაგრამ აკლდეს სიხარული,
7. ღამე - ვილოცოთ ჰაშემისგან ყველა ბერახის მიღებაზე,
8. ღამე, არის ზუსტად მათთვის, ვისაც სურს ჰყავდეს ბავშვი,

ღამე- წავიკითხოთ მე- 80 თეჰილიმი (ფსალმუნი). ქალბატონებს შეუძლიათ დაამატონ: „რიბონო შელ ყოლამ მე მქონდა ზეხუთი გამენათებინა ხანუქის 8 სანთელი, მომეცი ზეხუთი, რომ მერვე დღეს ჩემი ბიჭი მოვნათლო".

## გაზეთ „მენორა"-ს რედაქციას:

ბატონო გურამ,

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულითადი მადლობა გერცელ ბააზოვის გახსენებისათვის და ასეთი შესანიშნავი წერილების გამო გაზეთ „მენორაში".

გთხოვთ გადასცეთ უღრმესი მადლობა ბატრონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს და ბატონ დავით აგმონს.

პატივისცემით,

**ლილი ბააზოვი, ერა ბააზოვი**

## უმუშევრობის დონე

ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, სექტემბერში წინა — 2018 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე 0.1 %-ით შემცირდა და შეადგენდა მოსახლეობის 3.7%

## ლანჩი დონალდ ტრამპთან

Yeshiva World News იუწყება, რომ 12 ნოემბერს დონალდ ტრამპმა ნიუ-იორკში.გაიმართა საქველმოქმედო ლანჩი აშშ 100 რელიგიურ ებრაელებთან ერთად.მოწვეულთა შორის არ გახლდათ აშშ არცერთი ებრაული ორგანიზაცია. ვახშმობის მიზანი იყო დონალდ ტრამპის საარჩევნო კომპანიისათვის თანხების მოზიდვა. საიტი იუწყება, რომ ლანჩის მოწყობა „დიდმა ფილანტროპმა" ლუი შაინერმა ითავა..

# ჩემი მეგობარი შალვა მარდი

წლები გარბიან და გზადაგზა ვკარგავთ მეგობრებს, რომლებიც დაუვიწყარ კვალს სტოვებენ ჩვენს გულებში.

დაგვტოვა ჩემი ყმაწვილქალობის მეგობარმა — გამოჩენილმა მეცნიერმა და დიდებულმა პიროვნებამ — აკადემიკოსმა შალვა მარდახიაშვილმა-მარდიმ. შალვა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა დიდი ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით. ამის დასტური ისიცაა, რომ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. სწორედ ამ პერიოდში მისი დედა, რომელიც იმაზე ოცნებობდა, რომ შალვა ექიმი ყოფილიყო, მძიმედ დაავადდა. ამანაც განაპირობა ის, რომ შალვამ ერთობ თამამი ნაბიჯი გადადგა — საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიჟულ — მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანა საბუთები და ჩაირიცხა კიდეც — მაშინ ხომ მედალოსნები უგამოცდოდ ირიცხებოდნენ. მალე დედაც გარდაიცვალა და შალვამ დედას საფლავზე პირობა მისცა, რომ მის ნატვრას აასრულებდა.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, სადისერტაციო შრომის მომზადება რომ დაიწყო. ცხადია, ბევრი დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ შალვა იმდენად მიზანსწრაფული და ბეჯითი გახლდათ, რომ არ არსებობდა მის მიერ გადაულახავი დაბრკოლება. სადოქტორო დისერტაცია კი კიევში ანტისემიტიზმის მძვინვარების წლებში დაიცვა. ეს საკმაოდ რთული გახლდათ, მაგრამ დისერტაცია იმდენად მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ სამეცნიერო საბჭოს ოცი წევრიდან ცხრამეტმა დაუჭირა მხარი.

ამის შემდეგ შალვა სამშობლოში დაბრუნდა — საექიმო სამსახური საქართველოში განაგრძო. შალვა მთელ დასავლეთ საქართველოში გახლდათ ცნობილი, როგორც ონკოლოგიის პროფესორი — დიაგნოზის ზუსტად დამსმელი, ამიტომაც მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

შალვა სწორედ ამ წლებში დაუახლოვდა სამედიცინო ინსტიტუტში ჩემს თანაკურსელ როზმარი თარონიშვილს. სტუდენტობის წლებში როზმარი და მე ერთ დაქირავებულ ოთახში ვცხოვრობდით და ძლიერ დავმეგობრდით. ჩვენი მეგობრობა და ურთიერთსიყვარული დღემდე გრძელდება. შალვა და როზმარი მალე დაქორწინდნენ კიდეც, წლების განმავლობაში სამედიცინო პრაქტიკას ისრაელში ეწეოდნენ, შალვამ აქ შექმნა ახალი პრეპარატი, რომელიც წარმატებით კურნავდა კანის კიბოს. იგი მრავალი ქვეყნის აკადემიის წევრად აირჩიეს. ორი შვილი შეეძინათ — ქალ-ვაჟი. ისინიც ექიმებად აღზარდეს.

შალვამ ლამის მთელი მსოფლიო მოიარა და ბოლოს ცოლ-ქმარმა ევროპის ყველაზე მყუდრო და ლამაზი ქვეყანა — შვეიცარია აირჩია საცხოვრებლად — შეიძინეს ლამაზი ვილა და განაგრძობდნენ სამეცნიერო მოღვაწეობასა და სამედიცინო პრაქტიკას. როზმარი მეუღლეს მრავალი წელი მტკიცედ ედგა გვერდში, აქტიურად თანამშრომლობდნენ და ონკოლოგიის პროფესორიც გახდა. ჩვენს ოჯახებს მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებს — მარდახიაშვილებს უყვარდათ ჩვენთან სტუმრობა, ამ დროისათვის აჭარაში მეც საკმაოდ ცნობილი ექიმი გახლდით და ჩვენს მეგობრებთან, პაციენტებთან სტუმრად მისვლა, პატივად ითვლებოდა. შალვაც ძალიან იოლად ამყარებდა კონტაქტს ადამიანებთან, იოლად უახლოვდებოდა.

შალვასა და როზმარის ოჯახიც ერთობ სტუმართმოყვარე გახლდათ: ვიდრე ისრაელში ცხოვრობდნენ, მათს ვილაში მეგობრები ხშირად ვიკრიბებოდით. განა მხოლოდ ჩვენ, ამ ოჯახში ვის არ შეხვდებოდით: სახელგანთქმული როსტროპოვიჩი, თუ გამოჩენილი რეჟისორი იური ლუბიმოვი, მომღერალი ნაომი შომერი, თუ სარდალი დან შომრონი სიამოვნებით სტუმრობდნენ როზმარისა და შალვას.

ბოლო წლებში, როცა ავადმყოფობა მოეძალათ, უმეტესად შვეიცარიაში იყვნენ. შალვამ — ამ სახელოვანმა და საამაყო ადამიანმა, სიცოცხლეც აქ გაასრულა. მისი ნეშტი შვეიცარიის ებრაელთა სასაფლაოს მიაბარეს.

ნათელი იყოს ჩვენი მეგობრის — შალვა მარდის ხსოვნა!

**ციცა ბოთერაშვილი-სარიდი**

## $ 7 მილიონი ისრაელელი ანტისიონისტებისათვის

სატმარელ ხასიდებს ორი ლიდერი ჰყავთ — ძმები ტოიტელბოიმები. როგორც IsraelInfo იუწყება, ამათგან ერთ-ერთი — ზალმან ტოიტელბოიმი 19 ნოემბერს თავის თანამოაზრეებთან შესახვედრად და ფინანსების დასანაწილებლად ისრაელში ჩავიდა. მისი თანამოაზრეები კი გახლავან ისინი, ვინც ისრაელის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გამოდიან. რაბიმ ისრაელში შვიდი მილიონი (ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება აცხადებს,ხუთი მილიონიო) დოლარი ჩაიტანა და იმათ დაუნაწილა, ვინც ისრაელის სახელმწიფოს არსებობის პროტესტის ნიშნად, არჩევნებში არ მონაწილეობს, ასევე პროტესტის ნიშნად, სახელმწიფოსაგან არა-რა ფინანსურ დახმარებას არ ღებულობს. ისრაელში ჩასვლამდე კი ზალმან ტოიტელბოიმმა ლონდონში „შეიარა“ და ისრაელის ანტისიონისტური ორგანიზაციებისათვის „სუფთა ფული“ შეაგროვა.

ზალმან ტოიტელბოიმი უკვე მესამედ ჩავიდა ისრაელში. აპრილში — იმათ მხარდასაჭერად, ვინც ისრაელის არჩევნებში არ მონაწილეობს — არ სცნობს ისრაელის სახელმწიფოებრიობას, $ 12 მილიონი ჩაიტანა. რაბის გარემოცვაში ამბობენ, რომ მას მტკიცედ სჯერა: ისრაელის ებრაელობა არ უნდა მონაწილეობდეს არჩევნებში და ლეგიტიმურს არ უნდა ხდიდეს ისრაელის სახელმწიფოებრიობას.

ხასიდიზმის სატმარული ფრთა 1905 წელს, რუმინეთში შეიქმნა. დღეს მას ძმები ზალმან და აარონ ტოიტელბოიმები მეთაურობენ. ხასიდიზმის ეს ფრთა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ისრაელის სახელმწიფოებრიობას — ისრაელის სახელმწიფო იარსებებს მას შემდეგ, რაც მაშიახი (მესია) მოვაო.

არსებობს სატმარელთა ორი მოზრდილი თემი — ნიუ-იორკში — ბრუკლინის რაიონსა და ნიუ-იორკის შტატის ქალაქ კირიას- ჯოელში.

როგორც იუწყებიან, ისრაელელი ხასიდები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ხასიდთა ლიდერს — ორი დღის განმავლობაში თელ-ავივის ზოგიერთი ქუჩა,სადაც ამერიკელ ხასიდის კორტეჟს უნდა გაევლო, ავტოტრანსპორტისათვის გადაკეტილიც კი გახლდათ. აღფრთოვანებულ მასაში გამოარჩიეს ორი ყმაწვილი — ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს შვილიშვილები (პირველი ქორწინებიდან შეძენილი ქალიშვილის ვაჟები),რომელთა მამა რაბინია. მას შემდეგ, რაც ნეთანიაჰუ ამჟამინდელ მეუღლე სარაზე დაქორწინდა (ეს მისი მესამე ქორწინებაა) უფროს ქალიშვილთან ურთიერთობა შეზღუდა.

## ნიშანი სულიერი სიმდაბლისა

უკრაინის მთავარი რაბი მოშე რეუვენ ასმანი თავის ფეისბუკზე იუწყება, რომ 25 ნოემბერს კიევის ცენტრში უცნობმა ვანდალებმა სვასტიკები მიახატეს ებრაული ლიტერატურის კლასიკოსის შოლომ ალეიხემის ძეგლს. ბოლო თვეების განმავლობაში ამგვარი ანტიებრაული ინციდენტები მოხშირდა. სრულიად უკრაინის ეკლესიათა და რელიგიურ ორგანიზაციათა საბჭომ, რომელიც აერთიანებს უკრაინის მორწმუნე ქრისტიანთა, იუდეველთა და მუსლიმთა 90%, კატეგორიულად დაგმო მწერლის ძეგლის ხელყოფა, შეაფასა იგი, როგორც ვანდალიზმი და უკრაინის ეროვნებათა შორის მშვიდობიან ყოფაზე თავდასხმა.

## მიხეილ (მიშიკო) მიხელაშვილის ხსოვნას

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულისტკივილით იუწყება ჩვენი თემის ერთ-ერთი ღირსეული წევრის — **მიხეილ (მიშიკო) მიხელაშვილის** გარდაცვალებას.

იგი გახლდათ გამორჩეული პიროვნება, ადამიანი, რომელიც ამკვიდრებდა სიკეთეს, თანადგომის პრინციპებს, ადამიანებთან იოლად ამყარებდა ურთიერთობას, რადგან ენდობოდა მათ, იყო სიკეთის მსახური — ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში, მრავალი ოჯახის გასაჭირი გაიზიარა. ამიტომაც მისი გარდაცვალება დიდი ტკივილის მომგვრელი აღმოჩნდა.

ნათელა და ლუბა ნათლიაშვილები იუწყებიან ისრაელში ძმის —

**ანზორ ნათლიაშვილის**

გარდაცვალებას და მადლობას მოახსენებენ იმ პირთ, რომლებმაც გაიზიარეს მათი დიდი მწუხარება.




დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
**გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე**
**თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,**
**ტელეფონები:** 299.90.96

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003